პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

25 აპრილი, შაბათი, 1987 წ.
№ 81 (1952) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# დიდი რეგბი თბილისში

**დღეს**, თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართება სამოყვარულო რეგბის საერთაშორისო ფედერაციის (ფირა) XXII პირველობის „ა" ჯგუფის გუნდების მატჩი, რომელშიც საბჭოთა კავშირის ნაკრები რუმინეთის გუნდს უმასპინძლებს.

შეჯიბრება შარშანწინ, ოქტომბერში დაიწყო და წელს მაისში დამთავრდება. დღეისათვის გათამაშების ცხრილი ასე გამოიყურება:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ქ. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 9 | 8 | 0 | 1 | 25 | (—2) |
| იტალია | 10 | 5 | 0 | 5 | 20 | (—10) |
| რუმინეთი | 9 | 5 | 0 | 4 | 19 | (—8) |
| სსრ კავშირი | 7 | 5 | 0 | 2 | 17 | (—4) |
| ტუნისი | 7 | 2 | 0 | 5 | 11 | (—10) |
| პორტუგალია | 8 | 0 | 0 | 8 | 8 | (—16) |

როგორც ცხრილიდან ჩანს, ჩემპიონისა და ვიცე-ჩემპიონის ვინაობა თითქმის გარკვეულია, ფრანგებს ამჯერადაც (უკვე მეჩვიდმეტედ) ვერავინ შეეცილება პირველობას. ტუნისელებთან ისინი რომც დამარცხდნენ, პირად შეხვედრებში უკეთესი ბალანსის წყალობით (სტუმრად მოიგეს 14:7, შინ წააგეს 9:15) საბჭოთა გუნდზე წინ აღმოჩნდებიან. ალბათ, არც ჩვენი ნაკრები დათმობს მეორე ადგილს. ძნელი წარმოსადგენია, საბჭოთა რეგბისტები შინ ჩასატარებელ სამივე შეხვედრაში დამარცხდნენ რუმინეთის, ტუნისისა და პორტუგალიის გუნდებთან.



## სსრ კავშირი — რუმინეთი

### სამოყვარულო რეგბის საერთაშორისო ფედერაციის ჩემპიონატი

მესამე პრიზიორის ვინაობა დღევანდელი მატჩის შემდეგ გაირკვევა. შეხვედრის ფრედ დამთავრების ან სტუმრების გამარჯვების შემთხვევაში, რუმინელები მესამე ადგილზე

იხ. მე-4 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საპრიზო ადგილები განაწილებულია

**მსოფლიო** ექსჩემპიონმა ნონა გაფრინდაშვილმა და დიდოსტატმა ნანა იოსელიანმა იერის (საფრანგეთი) მოჭადრაკე ქალთა საერთაშორისო ტურნირის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე გაინაწილეს ადგილი პრიზიორთა სამეულში. ნონას 8,5 ქულა აქვს, ნანას — 7,5. იოსელიანის დაწევა მხოლოდ დასავლეთგერმანელ ფიშდიკს შეუძლია (მას 6 ქულა აქვს) იმ შემთხვევაში, თუ ქართველი მოჭადრაკე დარჩენილ ორ ტურში 1,5 ქულას დაკარგავს, რაც ძნელი სავარაუდებელია.

# საიუბილეო

## კასპაროვ — კარპოვის მე-100 შეხვედრა

**ბრიუსელის** მოჭადრაკე ვაჟთა დიდი საერთაშორისო ტურნირი იმითაცაა გამორჩეული, რომ კარგა ხნის შემდეგ ერთ ტურნირში შეხვდა ერთმანეთს თანამედროვეობის ორი უთვალსაჩინოესი დიდოსტატი — მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვი და მსოფლიოს ექსჩემპიონი ანატოლი კარპოვი. მათი ამასწინანდელი შეხვედრა (X ტური) საიუბილეო იყო — მეასე! ძველმა მეტოქეებმა მძაფრი ბრძოლა გააჩაღეს დაფაზე. კასპაროვი თავიდანვე შეუდგა მოწინააღმდეგის მეფისკენ მიმავალი გზების ძიებას, მაგრამ კარპოვი ჩინებულად იცავდა თავს. თავდაცვის მიზნით მან პაიკი შეწირა ჩემპიონს. საბოლოოდ, 53-ე სვლაზე ეს უაღრესად საინტერესო პარტია ყაიმით დამთავრდა. დღეისთვის მათი ურთიერთშეხვედრების საერთო ანგარიშია 50,5:49,5 კასპაროვის სასარგებლოდ. აღსანიშნავია ისიც, რომ მსოფლიოს მე-13 ჩემპიონმა (კასპაროვი) 13 პარტია მოიგო, მე-12 ჩემპიონმა (კარპოვი) — 12.

ბრიუსელის ტურნირის X ტურის სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: ტალი-კორჩნოი — 0,5:0,5, ლარსენი-ლიუბოევიჩი — 0:1, ვან დერ ვილი-ტორე — 0,5:0,5, ვინანტსი-შორტი — 0,5:0,5, მიულდერსი-ტიმანი — 0,5:0,5. წინა ტურების გადადებულ პარტიებში დაზავდნენ შორტი და ვან დერ ვილი, კარპოვი და ტიმანი. ვან დერ ვილმა მოუგო ვინანტსს.

ამრიგად, ბოლო ტურის წინ ლიდერთა ჯგუფი ასე გამოიყურება: ლიუბომირ ლიუბოევიჩი (იუგოსლავია) — 8 ქულა, გარი კასპაროვი — 7,5, ანატოლი კარპოვი — 6,5, მიხეილ ტალი 6-6, იან ტიმანი (ჰოლანდია) — 5,5 (1), ვიქტორ კორჩნოი (შვეიცარია) — 5,5.

როგორც ხედავთ, I ადგილისთვის ბრძოლა გამძაფრდა, ბოლო, XI ტურში დიდ ინტერესს იწვევს ლიუბოევიჩ-კარპოვისა და კასპაროვ-ტალის შეხვედრები...

# ვითომ გადავრჩით სირცხვილს?

თბილისში ხშირად ჩამოდიან სპორტული ჟურნალისტები. მათგან ზოგიერთი წინასწარ კოლეგებსაც სთხოვს სასტუმროში ადგილის დაჯავშნას. „ინტურისტი" მუდამ გვიმართავს ხელს, მაგრამ რა დასამალია, ზოგჯერ ვერიდებით ერთი და იმავე ხალხის შეწუხებას. ამიტომ იყო, ტურისტული სასტუმრო „ვაკის" დირექტორს რომ ვთხოვეთ რეგბიში დღევანდელ საერთაშორისო მატჩზე აკრედიტებული ორი რიგელი ჟურნალისტის მიღება. დირექტორმა ჩვენი თხოვნა თავაზიანად მიიღო და განკარგულებაც უმალვე გასცა. საქმეში სპორტსახკომის შესაბამისი სამსახურიც ჩაერია, რადგან სასტუმროში ადგილის დაჯავშნა დეპეშით პარალელურად სპორტსახკომსაც სთხოვეს. ასე რომ, რედაქციამ და სპორტსახკომმა ერთობლივად და ცალ-ცალკე დაჯავშნეს ორი ადგილი. გუშინწინ ჩვენ ცალკე, სპორტსახკომის წარმომადგენლებმა კიდევ ცალკე ორ-ორჯერ ადგილზე შევამოწმეთ, რაიმე გაუგებრობა ხომ არ იყო მოსალოდნელი. და მაინც, მოხდა ის, რასაც არ ველოდით... დილით დანაპირებს რამდენიმე საათში ერთბაშად გაუვიდა ყავლი. „ვერ მიგიღებთ, არც ერთი ადგილი არა გვაქვს", — იუარა ადმინისტრატორმა. სხვათა შორის, ადმინისტრატორის სკამზე იმ დღეს სულ სხვადასხვა ხალხს ვხედავდით. ერთმა მათგანმა სტუმრები გვიან სალამოსთვის დაიბარა. ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, თითქოს არავის უნდოდა შეესრულებინა სასტუმროს დირექტორის განკარგულება.



**წითელი ბარათი ბიუროკრატიზმს**

სტუმრები კი ისხდნენ და ელოდნენ ადმინისტრატორის მოწყალებას. გვიან საღამოს რედაქციის პასუხისმგებელმა მუშაკმაც მიაკითხა სასტუმროს. კვლავ უარი. მერე დაიწყო „ვაჭრობა" და „რეკომენდაციები", რომ სტუმრები ან საერთო საცხოვრებელში დაგვებინავებინა, ან წყნეთში აგვეყვანა. პრინციპული დავის შემდეგ შვიდსაათიანი ლოდინით დაღლილ-დაქანცულ სტუმრებს ბოლოს მაინც ის ადგილები მისცეს, რომლებიც დაჯავშნილი იყო. ადვილი წარმოსადგენია, რა შთაბეჭდილება დარჩებოდათ ჩვენს კოლეგებს. გარდა ამისა, სასტუმროსთან ურთიერთობის გარკვევაში იმ დღეს ძირითად სამუშაოს რამდენჯერმე მოსწყდნენ სპორტსახკომისა და რედაქციის თანამშრომლები.

რას იზამ, ბიუროკრატიზმმა კიდევ ერთხელ გვიჩვენა თავისი ძალა.

# გუშინ...

**თბილისის** ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში დამთავრდა ფრენბურთელ ქალთა საბჭოთა კავშირის თასის გათამაშების ზონალური ტურნირი ოთხი გუნდის მონაწილეობით. პირველი წრის შედეგები მკითხველებმა იციან. დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: „ნეფთჩი" (ბაქო) — „კომუნალნიკი" (გროდნო) 3:1, „საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი" — „კალევი" (ტალინი) 3:2, „ნეფთჩი" — „კალევი" 3:1, თბილისი — გროდნო 1:3, გროდნო — „კალევი" 3:0, „ნეფთჩი" — თბილისი 3:1.

ამრიგად, საბჭოთა კავშირის თასის გათამაშების მომდევნო ეტაპზე გავიდნენ ბაქოს „ნეფთჩისა" და გროდნოს „კომუნალნიკის" ფრენბურთელები.

ზონალური ტურნირის ანგარიშს „ლელოს" უახლოეს ნომერში გამოვაქვეყნებთ.



სურათზე: შეტევაზეა თბილისელი ნატალია სალნიკოვა.
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

**შეგახსენებთ!**

**ხვალ მთელს ჩვენს რესპუბლიკაში ტარდება რბენისა და სიარულის მოყვარულთა მასობრივი ღონისძიებები.**

პროფკავშირების რესპუბლიკური სპორტული საზოგადოება აცხადებს კონკურსს ძალოსნობის სკოლის დირექტორის ვაკანტურ ადგილზე.

დაწვრილებითი ცნობებისთვის მიმართეთ საქართველოს პროფსაბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილებას. ტელეფონი: 34-80-67; 34-81-29.



# გიწვევთ თბილისის ველოდრომი

თბილისის ცენტრალურ ველოდრომზე ხვალ, 26 აპრილს, ველოსპორტის ყველა მოყვარულისათვის ღია კარის დღეა. აქ სახეირნოდ უსასყიდლოდ მიიღებთ ველოსიპედებს და სხვა სპორტულ ინვენტარს, მოეწყობა აგრეთვე შეჯიბრებები. ველოდრომს შეგიძლიათ მიაკითხოთ ოჯახებით.

# კიდევ ორი დღე



**ევროპის** ჩემპიონები ჭაბუკთა შორის — უფილი ანდრეი ჩერკასოვი და თბილისელი დათო კაჭარავა წყვილთა ასპარეზობის ფინალში რომ გავიდოდნენ, ამაში ეჭვი არავის ეპარებოდა. მეოთხედფინალში მათ დამაჯერებლად დაამარცხეს რუმინელები კიპრიან პორუმბი და დანიელ დრაგუ (6:3, 6:3), ხოლო მეორე დღეს ასევე იოლად სძლიეს დუვიელ მედინა — რობერტო როდრიგესის (კუბა) წყვილს — 6:3, 6:2.

დღეს ჩერკასოვი და კაჭარავა გადამწყვეტ ბრძოლას გამართავენ ჩეხოსლოვაკიელ ტომაშ ზდრაჟილასა და მარეკ მიშკოლცთან. თავის მხრივ სტუმრებმა ნახევარფინალში დაამარცხეს დავით კვარაცხელია და ანდრი სემეცი — 6:2. 6:1.

ქალთა წყვილების ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან ლვოველი ტესა კრილოვა — დონეცკელი ელენა კისლუხა (მოუგეს დასავლეთგერმანელებს პეტრა ბაუერსა და სიბილა ბაუერმანს — 6:3, 6:3) და ბულგარელები გალია ანგელოვა — პლამენა გოგოვსკა (ამ წყვილმა სძლია კუბელებს რიტა პიჩარდოს — იოჰანეს მონტესინოს — 6:2, 6:1).

საინტერესოდ მიმდინარეობს ასპარეზობა ერთეულთა თანრიგშიც. დ. კაჭარავამ ძნელი ბრძოლა მოუგო უნგროოდელ სტეპან სერბაილოს (7:5, 6:4) და დღეს ნახევარფინალში ტ. ზდრაჟილას შეხვდება. მეორე ნახევარფინალში იასპარეზებენ ა. ჩერკასოვი და მ. მიშკოლცი (ჩეხოსლოვაკია).

ქალთა ერთეულთა თანრიგში ეკა ბოკუჩავამ მეოთხედფინალს მიაღწია, სადაც რიგელ უნა ბუშევიცას შეხვდა. სტუმარი ორივე პარტიაში დამაჯერებლად დაწინაურდა, ბოკუჩავამ „გამოდევნება" ვერ შეძლო და დამარცხდა 3:6, 3:6.

ახლა უ. ბუშევიცა ნახევარფინალში მოსკოველ ანა მირზას შეხვდება. მეორე ნახევარფინალური წყვილია ე. კისლუხა — მ. პეჩეანუ (რუმინეთი).

დღეს ერთეულთა ნახევარფინალებია (გუშინ ისინი არ შედგა უამინდობის გამო). ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირი ხვალ დამთავრდება.



ჩვენს რესპუბლიკაში ბოლო ხანებში ხშირად ტარდება საკავშირო შეჯიბრებები სპორტის ტექნიკურ სახეობებში. ერთი ასეთი ასპარეზობა ავტომრბოლელთათვის ამ დღეებში გაიმართა საქართველოს დოსაფის სპორტულ-ტექნიკური კლუბის ბაზაზე.

იხ. მე-4 გვ.

# ევროპის საკლუბო ტურნირები

22 აპრილს გაიმართა ფეხბურთში ევროპის საკლუბო თასების გათამაშებათა საპასუხო ნახევარფინალური მატჩები.

**ჩვენი** გულშემატკივრები დიდი ინტერესით მოელოდნენ კიევის „დინამოსა" და პორტუგალიის ქალაქ პორტუს „პორტოს" საპასუხო მატჩს, ყველანი იმ იმედით ვიყავით გამსჭვალულნი, რომ კიევლები აინაზღაურებდნენ პორტუში განცდილ მარცხს (1:2) და ფინალის საგზურსაც გაინაღდებდნენ. ცნობილია, რომ ჯერ არც ერთ საბჭოთა გუნდს არ მიუღწევია ამ ყველაზე საპრესტიჟო ტურნირის ფინალისთვის.

მაგრამ კიეველმა ფეხბურთელე-

იხ. მე-3 გვ.

საქართველოს ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში

# მარტონი ვერაფერს გავხდებით



ჯემალ ადლეიბა | მალხაზ ეგაძე | გელა ლომიძე | ვეფხია სალთხუციშვილი | ხვიჩა საბაშვილი



მალხაზ როზომაშვილი | ლევან სირაძე | გია ოქროპირიძე | კობა ლომიძე | გიორგი გალდავა

**თბილისში**, განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის საჭიდაო დარბაზში, დამთავრდა თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა რესპუბლიკური ჩემპიონატი. ამ შეჯიბრების შესახებ გვესაუბრება საქართველოს სპორტსახკომის მთავარი მწვრთნელი თავისუფალ ჭიდაობაში **ომზარ შოშიტაშვილი**.

— თავიდანვე მინდა გითხრათ, ჩემპიონატის მონაწილეთა შემადგენლობა ისეთი არ იყო, რომ ჩვენში თავისუფალი ჭიდაობის განვითარებისა და, საერთოდ, ჩვენი სპორტსმენების სიძლიერის შესახებ ნათელი წარმოდგენა შეექმნა... ძალიან კი ვეცადეთ, ისეთ ვადებში ჩაგვეტარებინა შეჯიბრება, რომ ჩვენი ყველა უძლიერესი მოჭიდავის გამოსვლა გვენახა, მაგრამ ვერ შევძელით; უკვე ივნისის დასაწყისში ჩვენი ნაკრები საკავშირო ჩემპიონატში უნდა გამოვიდეს (ეს ასპარეზობა ვორონეჟში გაიმართება); ამდენად, საჭირო იყო დროულად მოგვეწყო რესპუბლიკური შეჯიბრება, რათა ნაკრების ყველა კანდიდატს ჰქონოდა დრო ამ საპასუხისმგებლო ტურნირისათვის მოსამზადებლად. მხედველობაში მაქვს გრძელვადიანი საწვრთნელი შეკრების ჩატარების აუცილებლობა.

ჩვენი უძლიერესი სპორტსმენები კარგა ხანია საკავშირო ნაკრებში არიან გაწვეულნი საწვრთნელ შეკრებაზე და რესპუბლიკურ ტურნირში მათი მონაწილეობა არ მოხერხდა. სულ 19 მოჭიდავე გვაკლდა; გობეჯიშვილი, ხაბელოვი, ტატუაშვილი, თურმანიძე და რაზმაძე ქვეყნის პირველ გუნდში არიან, დანარჩენები — თავიანთი სპორტსაზოგადოებების ნაკრებ კოლექტივებში.

რაკი საკავშირო ნაკრების წევრებზე ჩამოვარდა სიტყვა, მოგაწვდით ერთ ცნობას, რომელიც უთუოდ დააინტერესებს ჭიდაობის გულშემატკივრებს. ჩვენი ქვეყნის ნაკრები ამჟამად ევროპის ჩემპიონატისათვის ემზადება. ლერი ხაბელოვის გამოსვლა ამ შეჯიბრებაში ეჭვს არ იწვევს. მძიმე წონაში კი ერთადერთი ვაკანსიისათვის დავით გობეჯიშვილსა და ზაზა თურმანიძეს ექნებათ დავა... ხადარცევი? საქმე ისაა, რომ ხადარცევს გობეჯიშვილმა საკმაოდ დამაჯერებლად მოუგო საკონტროლო შერკინება — 4:1. გარდა ამისა, ტაშკენტელი მოჭიდავე ამას წინათ ამერიკაში ბრიუს ბაუმგარტნერთანაც დამარცხდა. ერთი სიტყვით, ჩვენი ბიჭების შანსმა იმატა...

ისევ ჩემპიონატს დავუბრუნდეთ, მონაწილეთა რაოდენობის გამო საყვედური არ გვეთქმის: ხალიჩაზე 183 მოჭიდავე ვიხილეთ. მთავარი კი, რასაკვირველია, ჭიდაობას ხარისხი იყო. განსაკუთრებით ახალგაზრდების გამოსვლას ვაკვირდებოდით. ნაკრების მწვრთნელები მარტო საკუთარ შეხედულებას არ ვენდეთ და ყველა სპეციალისტს ვკითხეთ, ვინ მოსწონდათ ახალგაზრდებში ყველაზე მეტად. საერთო აზრი ასეთი იყო: რუსთაველი მალხაზ ეგაძე, მცხეთელი მურად ჩხაიძე და თბილისელი კარლო ციხისელი. პერსპექტიული ახალგაზრდა სოხუმელი ვლადიმერ კანკიაც.

ცუდად არ უჭიდავიათ უფრო გამოცდილ სპორტსმენებსაც — ქუთაისელ ლევან სირაძეს, თბილისელებს — ვეფხია სალთხუციშვილს, გია ოქროპირიძეს, გიორგი გალდავას, მალხაზ როზომაშვილს.

ამჯერად შეკრებაზე 30 კაცი მიგვყავს. როგორც თავადაც ნახეთ, ყველა მწვრთნელს ჰქონდა საშუალება აზრი გამოეთქვა და ნაკრების კანდიდატებიც, ფაქტიურად, საერთო კრებაზეც დავამტკიცეთ. ამით თავიდან ავიცილეთ უსაფუძვლო პრეტენზიები, რაც ადრე ხშირად გვიშლიდა ხელს.

ჩემპიონატის საერთო შედეგები მოწმობს, რომ ჭიდაობის მდგომარეობა ძალზე გაუარესდა კახეთში. პრიზიორთა შორის ვერ ვიხილეთ საგარეჯოს, გურჯაანის, სიღნაღის ვერც ერთი სპორტსმენი. თელავიდან მხოლოდ ერთი პრიზიორი იყო. განსაკუთრებით გვაფიქრებს თელაველთა და საგარეჯოელთა უმოქმედობა. მართალია, შესაფერისი პირობებიც არა აქვთ, საგარეჯოს საჭიდაო დარბაზში, მაგალითად, წყალიც არ არის. ეს ყველაფერი გვესმის, მაგრამ ასე ხელის ჩაქნევა მაინც მეტისმეტია.

სიღნაღში უზარმაზარი კომპლექსი ააშენეს. ამ რამდენიმე დღის წინ ვეწვიეთ ამ ბაზას, მაგრამ ცარიელი დაგვხვდა. გვითხრეს, აქ უკვე რამდენიმე თვეა მოჭიდავეები აღარ ვარჯიშობენო. აღმოჩნდა, რომ დარბაზის დირექცია და სპორტკომიტეტი შენობის იჯარის შესახებ ვერ მორიგდნენ და ასეთი შესანიშნავი ბაზა ფაქტიურად უქმად ცდება. იქ ხშირად წყალიც არ არის...

სამაგიეროდ, ყვარელში გამოცოცხლდა მუშაობა. იქ ორი ახალგაზრდა ენერგიული მწვრთნელი მუშაობს — ალექსანდრე ბილანიშვილი და თამაზ კონჰოშვილი, დარბაზიც კარგი აქვთ და არც ყურადღება აკლიათ. სხვათა შორის, მალხაზ როზომაშვილი ყვარლელია, იქვე ვარჯიშობდა, თუმცა ამ შეჯიბრებაში თბილისის სახელით გამოდიოდა და პირველი ადგილი დაიკავა.

რაიონებში კიდევ ბევრი პრობლემაა გადასაწყვეტი. ყველაზე გადაუდებლად მაინც ისევ ბაზების საკითხის მოგვარება მიმაჩნია. შეჯიბრების წინ ყველა მწვრთნელს ვთხოვეთ ჩამოეწერათ ყველაფერი, რაც უჭირდათ. ისეთი ბარათები მოიტანეს... აი, რუსთაველი მწვრთნელის პეტრე ჯიოშვილის განაცხადი. სხვათა შორის, ძალიან კარგი სპეციალისტია, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, მუშაობით კი, აი, რა პირობებში მუშაობს. აბა, წავიკითხოთ: „ოქტომბერში დაიწყო ჩვენი დარბაზის რემონტი, რომლის დამთავრებას საშველი აღარ დაადგა. იმ ბაზაზეც, რომელიც ქალაქის ფოსტასთან მდებარეობს, წყალი არ მოდის, თუმცა მისი ფართობი — 12X11 მეტრი — ასე თუ ისე, იძლეოდა ვარჯიშის ჩატარების საშუალებას.

ახლა კი № 3 პროფტექნიკური სასწავლებლის პატარა „დარბაზში" ვართ შეკედლებული. მისი ფართობი სულ 5X10 მეტრია და იქ მუდამ მწვრთნელთა რიგი დგას.

ისიც გაითვალისწინეთ, რომ ბევრი ჩვენი სპორტსმენი რესპუბლიკის სხვადასხვა ნაკრებში შედის. მაგალითად, კობა ლოჩოშვილი, მალხაზ ეგაძე, ზაზა ზურაბიშვილი და სხვები".

ხომ ხედავთ, რა მდგომარეობაა, არადა, რუსთავი თავისუფალი ჭიდაობის ერთ-ერთი ცენტრია ჩვენს რესპუბლიკაში — ქუთაისთან, თბილისთან, სოხუმთან, გორთან ერთად.

გადაწყვეტილი გვაქვს ეს ბარათები გულდასმით განვიხილოთ და შემდეგ ყველა რეგიონს ვეწვიოთ. ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოებთან გვინდა მოლაპარაკება. მარტო ჩვენ, მათი დახმარების გარეშე ვერაფერს გავხდებით.

საუბარი ჩაიწერა
**გიორგი ჩოჩიშვილმა.**

## 2 1 3 კვარცხლბეკი

**48 კგ.** 1. ჯ. ადლეიბა (სოხუმი); 2. მ. ქოჩიშვილი; 3. კ. სუკიასიანი (ორივე — თბილისი).

**52 კგ.** 1. მ. ეგაძე (რუსთავი); 2. ა. ჩოჩიშვილი (გორი); 3. მ. ორძენაძე (ბათუმი).

**57 კგ.** 1. გ. ლომიძე; 2. შ. ხიზანიშვილი (ორივე —თბილისი); 3. ვ. კანკია (სოხუმი).

**62 კგ.** 1. ვ. სალთხუციშვილი (თბილისი); 2. რ. კუნჭულია (ქუთაისი); 3. ზ. გიგაური (გორი).

**68 კგ.** 1. ხ. საბაშვილი; 2. ზ. ავაზაშვილი (ორივე — გორი); 3. ზ. ტატანაშვილი (თბილისი).

**74 კგ.** 1. მ. როზომაშვილი; 2. ე. ელოშვილი (ორივე — თბილისი), 3. პ. ხურციძე (სოხუმი).

**82 კგ.** 1. ლ. სირაძე; 2. დ. ბერიძე (ორივე — ქუთაისი); 3. ა. გოგრიჭიანი (ონი).

**90 კგ.** გ. ოქროპირიძე (თბილისი); 2. ბ. ქიქიაშვილი (მცხეთა), 3. ა. სალიაშვილი (თელავი).

**100 კგ.** 1. კ. ლომიძე (თბილისი); 2. დ. ჩელებაძე (ქობულეთი); 3. ს. მაკოევი (ახმეტა).

**130 კგ.** 1. გ. გალდავა; 2. მ. მაისაშვილი (ორივე — თბილისი), 3. ხ. ფირანიშვილი (ვანი).

## გაზეთ „ლელოს" რედაქციას!

**1987 წლის სტუდენტური თამაშების მონაწილეთა და მსაჯთა (თავისუფალ ჭიდაობაში) კოლექტიური განცხადება, ანუ იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება დაეკარგოს შეჯიბრებას სადღესასწაულო ელფერი.**

18-20 აპრილს ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში, ჩატარდა საკმაოდ ორგანიზებულად. შეჯიბრების მონაწილენი ძირითადად სტუდენტები იყვნენ, ამიტომ მათ სჭირდებოდათ ცოტა ხნით დასვენება, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ.

21 აპრილს სტუდენტები იხმეს სტუდენტურ თამაშებში მონაწილეობის მისაღებად. აი, რას ამბობს ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის წარმომადგენელი ნოდარ თავბერიძე:

დაგვაბინავეს გლდანის ხელბურთის სპეციალიზებულ სკოლაში. შენობა არ თბებოდა, ზეწრების გარდა სხვა თეთრეული არ დაგვირიგეს. სანიტარულ პირობებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ვიკვებებოდით სტუდქალაქის სასადილოში, ტალონებით.

დარბაზი, რომელშიც შეჯიბრება ტარდებოდა, არ თბებოდა. ალბათ, ამიტომაც პირველ დღეს 23 კაცმა, ანუ მონაწილეთა ერთმა მესამედმა, შეჯიბრება შეწყვიტა.

მარშრუტი: საცხოვრებელი ადგილი-კვების პუნქტი-შეჯიბრება დაახლოებით 50 კილომეტრს მოიცავდა. ორგანიზატორებს არც ტრანსპორტით გადაყვანაზე უზრუნიათ. ამ შეჯიბრების „ორგანიზატორი" გახლდათ „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭო (ნ. ერაძე) და უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს შესაბამისი განყოფილება (დ. ბაინდურაშვილი).

**ბ. როსტიაშვილი, შეჯიბრების მთავარი მსაჯი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი; ნ. ბაჩეჩილაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელი, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი; ნ. თავბერიძე, ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის წარმომადგენელი, პირველი კატეგორიის მწვრთნელი; რ. ცერცვაძე, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელი, სტუდენტი; ზ. გოლეთიანი, საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენელი, მასწავლებელი; ი. ალიხანოვი, საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის პროფესორი.**

როგორ ვიყენებთ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სპორტულ ბაზებს?

# კარს ვინ გაუღებს?

**აბაშის** რაიონში სპორტდარბაზები მხოლოდ საშუალო და 8-წლიან სკოლებშია. რა ქნან სოფლის ახალგაზრდებმა, რომლებსაც დირექტორის თუ ფიზკულტურის მასწავლებლის რიდით სკოლის დარბაზში სავარჯიშოდ და ბურთის სათამაშოდ შესვლა ვერ გაუბედნიათ?

აბაშის პირველ საშუალო სკოლაში (დირექტორი მურმან ბურსულაია, ფიზკულტურის მასწავლებელი ვლადიმერ ჩხაიძე) შესანიშნავი სპორტული ბაზაა: კარგი სპორტდარბაზი, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები, საცურაო აუზი; შენდება ფეხბურთის მოედანი. ყველაფერი ეს მხოლოდ მოსწავლეთა განკარგულებაშია, მოქალაქეთათვის კი დაკეტილია. ენთუზიასტებმა გამაჯანსაღებელი ჯგუფი შექმნეს და ვარჯიში ამ სკოლის დარბაზში მოინდომეს, მაგრამ აქ ისინი სათოფეზეც არ მიუშვეს.

— მოსახლეობას ჩვენ ვერ მოვემსახურებით, რადგან ისედაც დატვირთული ვართ, — უარით გამოისტუმრა ისინი ფიზკულტურის მასწავლებელმა ვლადიმერ ჩხაიძემ, — ასეც რომ არ იყოს, ალიონზე ვინ გაგიღებთ სპორტდარბაზის კარს ან ვინ დაკეტავს. ჩვენ ეს არ გვევალება.

პატივცემულ ვლადიმერს 48 წლის მუშაობის სტაჟი აქვს და რაიონის ფიზკულტურულ-სპორტულ ცხოვრებაში დიდი წვლილი აქვს შეტანილი, მაგრამ როგორც ჩანს, ავიწყდება, რომ ფიზკულტურის ყველა მუშაკი ვალდებულია ხელი შეუწყოს გამაჯანსაღებელი ჯგუფის მუშაობას. რესპუბლიკის მოწინავე სკოლების ფიზკულტურის მასწავლებლებმა ასეთ ჯგუფებს ხომ თავად შესთავაზეს დარბაზები და თავადვე ხელმძღვანელობენ მათ. აბაშის პირველ საშუალო სკოლაში სამი უმაღლესი განათლების მქონე ფიზკულტურის მასწავლებელია. მათ შორის ერთი — ახალგაზრდა სპეციალისტი. პარადოქსია, რომ სწორედ ასეთი სკოლის კარია დაკეტილი სპორტის მოყვარულთათვის.

— პირველი საშუალო სკოლის სპორტდარბაზს ძირითადად მოსწავლეთა სპორტული ღონისძიებების ჩასატარებლად ვიყენებთ. სპორტსკოლის ბავშვებიც აქ ვარჯიშობენ. მართალია, მოსახლეობის ერთ ჯგუფს უარი ეთქვა დარბაზში ვარჯიშზე, მაგრამ ვერც სკოლის დირექტორს გავამტყუნებთ. სპორტდარბაზს მოვლა და გაფრთხილება სჭირდება. აქ ყოველდღე 630 ბავშვი შემოდის, ამიტომ იოლი როდია მისი მოვლა. გარეშე პირი შეიძლება უდიერად მოექცეს სკოლის ქონებას. ჩვენ არავის ვუშლით, მოვიდნენ, ივარჯიშონ სკოლის დარბაზებსა თუ ღია სპორტულ მოედნებზე, მაგრამ ბევრ დაინტერესებულ ახალგაზრდას რომ ვერ ვხედავთ? — გვითხრა აბაშის განათლების განყოფილების გამგემ ავთანდილ ცანავამ.

განათლების განყოფილების გამგის შენიშვნა უთუოდ ანგარიშგასაწევია.

სკოლის ბაზების დატვირთვა მარტო განათლების მუშაკთა ვალი როდია. რაიონის სპორტკომიტეტისა და სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" თანამშრომლებმაც უნდა გამოიღონ ხელი.

**ნუგზარ ჟვანია,**
„ლელოს" საკ. კორ.

# სკოლა ჯანმრთელობის სამსახურში

**შარშან** გაზეთ „ზარია ვოსტოკაში" დაიბეჭდა კორესპონდენტ ა. ხუგაევის წერილი, რომელშიც ლაპარაკი იყო ქ. ცხინვალის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სპორტული ბაზების სრული დატვირთვის აუცილებლობის შესახებ.

განათლების საოლქო განყოფილებამ იმსჯელა ამ საკითხზე და იგი დადებითად გადაიჭრა: ქალაქის რამდენიმე სკოლამ ფართოდ გაუღო მოსახლეობას მოედნებისა და სპორტული დარბაზების კარი.

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ თვითონ მოსახლეობა იჩენს ინერტულობას — საღამოობით, მეცადინეობის დამთავრების შემდეგ სასკოლო მოედნები და სპორტული დარბაზები ცარიელია.

დილით კი სურათი იცვლება: გამაჯანსაღებელი ფიზკულტურის მიმდევრებით ივსება ქალაქის I და მე-5 საშუალო სკოლების ეზოები. სპორტული სიარულისა და რბენის მოყვარულები ვარჯიშობენ მე-7 და მე-12 სკოლების ეზოებში, აგრეთვე მე-6 სკოლის სპორტულ დარბაზში. მაგრამ ყველაფერი ეს არაორგანიზებულად ხდება. ქალაქში შექმნილი ჯანმრთელობის ჯგუფების წევრები და ინდივიდუალურად მოვარჯიშენი ძირითადად ქალაქის ცენტრალურ სტადიონზე იკრიბებიან, კალათბურთისა და ფრენბურთის მოყვარულნი კი ქალაქის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის დარბაზში ელოდებიან თავიანთ რიგს. მაგრამ ეს ორი ბაზა ისედაც გადატვირთულია, ამიტომ კარგი იქნება, თუ ისინი სკოლის მოედნებზე და სპორტულ დარბაზებში გადაინაცვლებენ.

**ლეილა ხუბელიანი,**
„ლელოს" საკ. კორ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი

# UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

დასასრული

მა აშკარად გაგვაწბილეს. გაგვაწბილეს არა მარტო იმით, რომ ფინალში ვერ მოხვდნენ, არამედ იმიტომაც, რომ ძალზე უნიათოდ ჩაატარეს ეს მეტად დიდმნიშვნელოვანი მატჩი. მინდორზე აშკარად არ ჩანდა ის შეთამაშებული, ბრძოლისუნარიანი, აქტიური კოლექტივი, რომელიც კარგა ხანია საბჭოთა ფეხბურთის ერთ-ერთი ლიდერის სახელს ატარებს და, შესაბამისად, მნიშვნელოვანი ფუნქციებიც აკისრია. აშკარად სუსტად ითამაშეს მცველებმა, რომლებიც მეტოქის სწრაფი, მოულოდნელი, მახვილი კონტრიერიშების დროს ვერ პოულობდნენ ერთმანეთთან საერთო ენას, მჭიდროდ ვერ იყვანდნენ მოერიშეთ, თავიანთ საჯარიმო მოედანზე ხშირად ტოვებდნენ დაუცავ ადგილებს. სუსტად ითამაშა მეკარე ჩანოვმაც, ხოლო თავდასხმის ხაზში არც ერთი ფეხბურთელი არ აღმოჩნდა, რომელიც რამდენამე მაინც რეალურ ხიფათს შექმნიდა „პორტოს“ კართან. ეს განსაკუთრებით ბელანოვის შესახებ ითქმის.

კიევის „დინამოში“ მხოლოდ ნახევარმცველებმა ითამაშეს სრული ძალით, საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ მიხაილიჩენკო, რომელმაც ერთადერთი გოლიც გაიტანა და კიდევ ორჯერ მოახვედრა ბურთი სტუმართა კარის ძელს.

ფეხბურთის მოყვარულთა ინტერესი ამ მატჩისადმი წარმოუდგენლად დიდი იყო. კიევის რესპუბლიკურ სტადიონზე მატჩის ნახვის მსურველთა რაოდენობამ, კოლექტიური განაცხადების მიხედვით, დაახლოებით 2 მილიონს მიაღწია...

და, აი, მეტად დასანანი მარცხი, ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალი ჩვენთვის კვლავ მიუღწეველი დარჩა. სამივე ბურთი მატჩის დასაწყისშივე გავიდა, მე-12 წუთისთვის ანგარიშში უკვე 2:1 იყო. პირველ წარმატებას სტუმრებმა მე-4 წუთზე მიაღწიეს. დინამოელთა კარში საჯარიმო დაინიშნა, მცველებმა არასწორად აღმართეს კედელი, ზუსტად დარტყმის დროს მეკარე ჩანოვი გაუმართლებლად მოძრაობდა კარის ხაზზე ძელებს შორის და როცა სელსუმ ძლიერად დაარტყა, იგი თავის ადგილზე არ აღმოჩნდა. ბურთი მოხვდა ერთ-ერთ კიეველ ფეხბურთელს, ოდნავ შეიცვალა მიმართულება და ბადეში აღმოჩნდა. უკვე ამ გაშვებული გოლის შემდეგ მასპინძელთა ამოცანა დიდად გაძნელდა, მერე კი, როცა მე-11 წუთზე უმეთვალყუროდ დატოვებულმა გომეშმა მეორე ბურთი გაიტანა, ნახევარფინალის ბედიც, არსებითად, საბოლოოდ გადაწყდა. წუთის შემდეგ მიხაილიჩენკომ ერთი გოლი გაქვითა, მაგრამ, რა თქმა უნდა, ამან საქმეს ვერ უშველა. ისევე როგორც პირველი, საპასუხო მატჩიც „პორტომ“ ანგარიშით 2:1 მოიგო და ფინალში გავიდა.

ჩემპიონთა თასის ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა, აგრეთვე, მიუნხენის „ბაიერნმა“ (გფრ).

„რეალისა“ და „ბაიერნის“ შეხვედრა სკანდალურ ვითარებაში წარიმართა. მადრიდის „სანტიაგო ბერნაბეუს“ სტადიონზე იმ დღეს აუწერელი აჟიოტაჟი სუფევდა, ორივე გუნდის ფეხბურთელები მთელი თამაშის მსვლელობაში უხეშობდნენ, დაურიდებლად არღვევდნენ წესებს, ბაიერნელი აუგენტალერი და „რეალის“ თავდამსხმელი სანჩესი ერთმანეთს წაეკიდნენ, ფრანგი არბიტრი მ. ვოტრო იძულებული იყო მინდვრიდან გაეძევებინა აუგენტალერი.

ეს მოხდა 30-ე წუთზე, „რეალი“ კი ამ დროისთვის დაწინაურდა სანტილიანას მიერ გატანილი ბურთის წყალობით — 1:0, ეს იყო და ეს, ესპანელებმა მეტი ველარაფერი შეძლეს.

გთავაზობთ ევროპის სამივე საკლუბო ტურნირის ნახევარფინალურ შეხვედრათა შედეგებს:

### ჩემპიონთა თასი

„დინამო“ (კიევი, სსრ კავშირი) — **„პორტო“ (პორტუ, პორტუგალია) 1:2 (1:2).**

„რეალი“ (მადრიდი, ესპანეთი) — **„ბაიერნი“ (გფრ) 1:0 (1:4).**

### თასების მფლობელთა თასი

**„აიაქსი“ (ჰოლანდია)** — „სარაგოსა“ (ესპანეთი) 3:0 (3:2).

**„ლოკომოტივი“ (ლაიფციგი, გდრ)** — „ბორდო“ (საფრანგეთი) 0:1 (1:0). დამატებითი პენალტებით 6:5 „ლოკომოტივის“ სასარგებლოდ.

### უეფა-ს თასი

„სვაროვსკი-ტიროლი“ (ავსტრია) — **„გეტებორგი“ (შვეცია) 0:1 (1:4).**

„ბორუსია“ (გფრ) — **„დანდი იუნაიტედი“ (შოტლანდია) 0:2 (0:0).**

### ფინალები

ჩემპიონთა თასის ფინალური მატჩი მიუნხენის „ბაიერნსა“ და პორტუგალიის „პორტოს“ შორის **27 მაისს შედგება ვენაში.**

თასების მფლობელთა თასის ფინალური მატჩი ჰოლანდიის „აიაქსსა“ და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქ ლაიფციგის „ლოკომოტივს“ შორის **13 მაისს გაიმართება ათენში.**

უეფა-ს თასზე, როგორც ყოველთვის, ჩატარდება 2 ფინალური მატჩი. შვეციის „გეტებორგი“ **6 მაისს** შინ მიიღებს შოტლანდიის „დანდი იუნაიტედს“, **20 მაისს** მეტოქეები კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს შოტლანდიის ქალაქ დანდიში.

## ფიქრები მატჩის შემდეგ

**განვლილ** ოთხშაბათს კიევის დინამოელთა დამარცხება ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების ნახევარფინალში პორტუგალიის კლუბ „პორტოსთან“ მოულოდნელიც იყო და არასასიამოვნოც, განსაკუთრებით ახლა, სსრ კავშირის ნაკრების და გდრ-ის ეროვნული გუნდის შეხვედრის წინ.

რა თქმა უნდა, დამარცხებაში დიდი როლი ითამაშა რამდენიმე დასანანმა შემთხვევითობამ, ორმა გოლმა, კიეველთა კარში ჯერ კიდევ თამაშის დაწყებისთანავე რომ გავიდა. მდგომარეობა ასეთი იყო: კიეველებს თავიდან ხომ მხოლოდ ერთი გოლის გატანაც ყოფნიდათ გათამაშების ფინალში გასასვლელად, იმ შემთხვევაში კი, თუ მათ კარში ორი გოლი გავიდოდა, კიეველებს გამარჯვებისთვის უკვე 4 ბურთის გატანა დასჭირდებოდათ.

მინდა აღვნიშნო, რომ ასეთი მკვეთრი სათამაშო ვითარების შეცვლა თვით უმაღლესი რანგის ფეხბურთელთა გუნდსაც კი დაუკარგავს ბრძოლის ჟინს. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ კიეველთა თამაშმა ჩვეული მომხიბვლელობა დაკარგა, მით უმეტეს, რომ გამოცდილ პორტოელ ფეხბურთელებს მყარი კედელი ჰქონდათ აღმართული თავიანთ კართან და თავგამოდებით იგერიებდნენ შეტევებს.

არ გეგონოთ, რომ ჩემს მიერ შემთხვევითი გარემოებებით ახსნილი კიევის „დინამოს“ წარუმატებლობა ამ გუნდის თამაშს რაიმე შეღავათს აძლევდეს. კიევის „დინამოს“ როლი სამამულო ფეხბურთში იმდენად დიდია, რომ ამგვარი შეღავათები მას არ სჭირდება.

კიეველთა კარში გატანილი გოლები დაცვაში დინამოელთა მძიმე შეცდომების შედეგი იყო. საჯარიმოდან გაშვებული პირველი გოლი მთლიანად მეკარე ჩანოვის სინდისზეა, მართალია, ბურთმა გზად მიმართულება იცვალა, მაგრამ ჩანოვს მაინც შეეძლო მისი აღება — ის რომ გვერდზე ნაადრევად არ გადამხტარიყო, ბურთი ბადეში არ აღმოჩნდებოდა.

ასეთი ტიტულოვანი გუნდისთვის და მით უმეტეს ამ რანგის მატჩში წარმოუდგენელი შეცდომაა დატოვო მოწინააღმდეგის თავდამსხმელი მეთვალყურეობის გარეშე, საკუთარი კარის წინ და დაუბრკოლებლად გაატანინო ბურთი. [...] გაშვებული ორი ბურთი ჩვენი შეცდომების შედეგი, რომელიც ასე ძვირად დაუჯდა გუნდს.

მეორე და, ეს უმთავრესია, „პორტოსთან“ მატჩში კიეველები ეგრეთ წოდებული ძალების „ექსპერიმენტული“ განლაგებით წარდგნენ მაყურებლის წინაშე. არ თამაშობდა ბალი, მაგრამ მარჯვენა ფლანგზე არანაკლები წარმატებით შეეძლო ეთამაშა ბესონოვს. ასე რომ, რა საჭირო იყო ასეთი გადაადგილებები? დემიანენკომ, ისევე როგორც სსრ კავშირის ნაკრებისა და შვეციის გუნდის ამხანაგურ მატჩში, ადგილი შეიცვალა და მარჯვენა მცველი გახდა. მარცხენა ფლანგს ალარავინ იცავდა. გუნდის ცენტრალურ ბირთვს ბესონოვი, ბლოხინი და ზავაროვი შეადგენდნენ. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ პირველი ორი ამ როლში გაუბედავად თამაშობდა და დისპეტჩერის ფუნქციის შესრულებისას ძალიან ანელებდა თამაშის ტემპს. იაკოვენკო, რომელიც გუნდში ყოველთვის საყრდენი ნახევარმცველის მოვალეობას ასრულებდა და ზავაროვთან ერთად წარმატებით დირიჟორობდა თამაშს, ამჟამად მარჯვენა ნახევარმცველის როლში აღმოჩნდა. ხოლო ბელანოვის მოქმედება მარჯვენა ფლანგზე იაკოვენკოს და დემიანენკოს აქტიურმა მოქმედებამ შეავიწროვა და „დაიკარგა“ თამაშში.

ეს ექსპერიმენტები ხომ არ გახდა იმის მიზეზი, რომ ამ გადამწყვეტ მომენტში დინამოელები დაზარალდნენ. ხოლო მათი თამაში ნაკლებად დამაჯერებლად გამოიყურებოდა? კერძოდ, კიეველთათვის დამახასიათებელი დინამიზმი ამჯერად უმოძრაოდ მდგარი ფეხბურთელებისთვის ბურთის შენელებული გადაცემებით შეიცვალა, ხოლო დაცვა მიუტევებელ შეცდომებს უშვებდა.

მაშ ასე, გდრ-ის გუნდთან მატჩის წინ ქვეყნის ნაკრების მწვრთნელს ვ. ლობანოვსკის ბევრი საფიქრალი აქვს.

**ვლადიმერ მდივანი.**

## I ლიგა

**23 აპრილს შედგა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების V ტურის მატჩები. საქართველოს ორივე გუნდმა შინ ჩაატარა კალენდარული შეხვედრები, მათ შესახებ ჩვენი კორესპონდენტები გვატყობინებენ:**

**ო. მურვანიძე (ბათუმი):** „კუზბასი“ ტრადიციულად ძნელი მეტოქეა ბათუმელთათვის, ამ გუნდების განვლილ 4 მატჩში 3 კემეროვოელთა გამარჯვებით დამთავრდა. ახლაც კემეროვოელებმა გაიმარჯვეს, თუმცა ბათუმელებს შინ, ახლა შექმნილ მეტად რთულ ვითარებაში ყველაფერი უნდა გაეკეთებინათ, რათა მცირედ მაინც გამოესწორებინათ თავიანთი სატურნირო მდგომარეობა.

„დინამომ“ კარგად დაიწყო თამაში, მაგრამ რამდენიმე მომენტი ზედიზედ ვერ გამოიყენა (უგრელიძე, ჩიქოვანი, ვლასენკო), მერე კი „კუზბასმა“ გაათანაბრა თამაში. შესვენების შემდეგ ინიციატივა კვლავ მასპინძლებისა იყო, გოგიტიძემ ძელსაც მოახვედრა ბურთი, მაგრამ ყველაფერი ამით ამოიწურა, სტუმრებმა კი 74-ე წუთზე კარგად გამოიყენეს საჯარიმო დარტყმა, მეკარე ბალაძემ უკუაგდო ბურთი, მას მოუსწრო ანტონოვმა და მისმა ამ გოლმა გამარჯვება მოუტანა „კუზბასს“ — 1:0.

ბათუმის „დინამოს“ შემადგენლობა: **ბალაძე, გოგიტიძე, ანდღულაძე, დურდიაძე, ჩიქოვანი, ზედანია, თორლაშვილი, მაისურაძე, უგრელიძე, გორგილაძე, ვლასენკო (ბარათაშვილი). მატჩი იმსაჯა ოდესელმა ა. კაფაჯიმ.**

**თ. ხარაბაძე (ქუთაისი):** ქუთაისის „ტორპედოს“ სიძნელეებზე არაერთხელ ვილაპარაკეთ, გუნდის ძველი და ახალი ფეხბურთელები მონდომებას, თითქოს, არ აკლებენ, მაგრამ მონდომება მარტო არ კმარა, აუცილებლად საჭიროა ოსტატობაც და თამაშის წარმართვის უნარი, ეს კი ჩვენს გუნდს, სამწუხაროდ, ჯერ აკლია.

განვლილ მატჩში „ტორპედოს“ აკლდნენ ჭელიძე და კვერნაძე, მთელი თამაშის განმავლობაში მასპინძლებმა ხეირიანი ვერაფერი აჩვენეს, თუმცა, შენგელიას 28-ე წუთზე შეეძლო კარგად გამოეყენებინა ხელსაყრელი მდგომარეობა.

ანგარიში მეორე ტაიმში გახსნა ლოკომოტიველმა გავრილოვმა, რომელმაც ზუსტად დაარტყა დოზმოროვის წინააღმდეგ უხეშად თამაშისთვის დანიშნული 11-მეტრიანი, შემდეგ კი კალაშნიკოვმა მეორედ აიღო ტორპედოელთა კარი—2:0.

ქუთაისის „ტორპედომ“ ამ მატჩში ასეთი შემადგენლობით ითამაშა: **ტყებუჩავა, შამათავა, თევზაძე, პაპავა, ციხკარიშვილი, შენგელია, გიგატაძე, მანაგაძე (თავაძე), ხუნდაძე (ფრუიძე), გოგელიძე, ხარაბაძე. მსაჯი ი. ილიაკოვი (სიმფეროპოლი). გააფრთხილეს შამათავა.**

**I ლიგაში ხუთი ტურის თამაშებმა განვლო, ბათუმის დინამოელებს 10 შესაძლებლიდან მხოლოდ 3 ქულა აქვთ აღებული, ხოლო ქუთაისის ტორპედოელებს კიდევ უფრო ნაკლები — 2. მდგომარეობა საგანგაშოა, ორივე გუნდმა უახლოეს ხანებშივე ყველაფერი უნდა გააკეთოს ასეთი ჩავარდნის სასწრაფოდ გამოსასწორებლად. ქუთაისელმა ფეხბურთელებმა ხუთ თამაშში ვერც ერთი ბურთი ვერ გაიტანეს (!), ხოლო ბათუმის დინამოელებმა მხოლოდ ერთი. უახლოეს ტურშივე, 26 აპრილს, როცა მოსკოვის „ლოკომოტივი“ ბათუმში თამაშობს, ხოლო კემეროვოს „კუზბასი“ — ქუთაისში, ჩვენმა გუნდებმა ძალები არ უნდა დაიშურონ წარმატების მისაღწევად. იმედი გვაქვს, ისინი საამისოდ გააკეთებენ ყველაფერს, რაც კი შეუძლიათ.**

**ამავე** დღეს გაიმართა ტურის სხვა შეხვედრები: „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 3:0, „დინამო“ (სტავროპოლი) — „დაუგავა“ (რიგა) 2:0, „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) — ასკ (დონის როსტოვი) 1:0, „კოტაიკი“ (აბოვიანი) — „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) 4:1, „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „პამირი“ (დუშანბე) 2:0, „ფაკელი“ (ვორონეჟი) — „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) 0:0, „როტორი“ (ვოლგოგრადი) — „გეოლოგი“ (ტიუმენი) 2:0, „კოლოსი“ (ნიკოპოლი) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა) 1:2, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — ასკ „კარპატი“ (ლვოვი) 1:1.

### გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 25 აპრილისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ჩერნომორეცი“ | 5 | 5 | 0 | 0 | 9-1 | 10 |
| „შინიკი“ | 5 | 4 | 0 | 1 | 5-3 | 8 |
| „კუზბასი“ | 5 | 3 | 2 | 0 | 6-1 | 8 |
| „დაუგავა“ | 5 | 3 | 1 | 1 | 8-4 | 7 |
| „ლოკომოტივი“ | 5 | 2 | 3 | 0 | 6-2 | 7 |
| „კოლოსი“ | 6 | 3 | 0 | 3 | 7-6 | 6 |
| „გეოლოგი“ | 5 | 2 | 2 | 1 | 5-2 | 6 |
| „ფახთაქორი“ | 4 | 2 | 1 | 1 | 5-4 | 5 |
| „პამირი“ | 4 | 2 | 1 | 1 | 4-3 | 5 |
| „მეტალურგი“ | 5 | 2 | 1 | 2 | 7-7 | 5 |
| „კოტაიკი“ | 5 | 2 | 1 | 2 | 7-8 | 5 |
| „კრ. სოვეტოვი“ | 5 | 1 | 3 | 1 | 4-2 | 5 |
| ასკ „კარპატი“ | 5 | 1 | 3 | 1 | 4-4 | 5 |
| „სპარტაკი“ | 5 | 1 | 2 | 2 | 2-3 | 4 |
| „ზარია“ | 6 | 1 | 2 | 3 | 4-8 | 4 |
| „როსტსელმაში“ | 4 | 1 | 1 | 2 | 5-4 | 3 |
| „დინამო“ სტ. | 4 | 1 | 1 | 2 | 5-7 | 3 |
| „დინამო“ ბ. | 5 | 1 | 1 | 3 | 1-5 | 3 |
| „ფაკელი“ | 5 | 0 | 3 | 2 | 2-5 | 3 |
| „როტორი“ | 5 | 1 | 0 | 4 | 4-8 | 2 |
| ასკ რ. | 5 | 0 | 2 | 3 | 1-6 | 2 |
| „ტორპედო“ ქ. | 5 | 0 | 2 | 3 | 0-7 | 2 |

## II ლიგა

**22 აპრილს** გაიმართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების III ტურის შეხვედრები:

ჩვენი სამტრედიელი კორესპონდენტი **ანზორ სირაძე** გვატყობინებს ადგილობრივი **„ლოკომოტივისა“ და თბილისის „შევარდენი“-სპი-ს** შეხვედრის შესახებ: „მასპინძლებს დასაწყისიდანვე ეპყრათ უპირატესობა, ისინი ზედიზედ უტევდნენ მეტოქის ნახევარს, თბილისელთა მეკარე მამინაშვილს ორი ძნელი ბურთის აღება მოუხდა პაიჭაძისა და მჭედლიშვილისაგან. ტაიმი ისე დამთავრდა, ბურთი არც ერთ კარში არ გასულა. სამტრედიელმა ფეხბურთელებმა შესვენების შემდეგ კიდევ უფრო მოუმატეს თამაშის ტემპს, მაგრამ დრო გადიოდა, მათი შეტევები კი კვლავ უშედეგოდ მთავრდებოდა. მხოლოდ შეხვედრის დასასრულს შეძლო „ლოკომოტივმა“ თავისი უპირატესობის რეალიზაცია: 83-წუთზე კოხრეიძის მიერ ფლანგიდან მოწოდებული ბურთი კარგად გამოიყენა ბაბუნიძემ, ხოლო ბოლო წუთზე პაიჭაძემ მეორედ აიღო მეტოქის კარი — 2:0.

„ლოკომოტივის“ შემადგენლობა: ქანთარია, დ. კოხრეიძე, კაკაბაძე, ვაშაკიძე, დ. რუხაძე, მჭედლიშვილი, ბაბუნიძე, კაჭარავა (თ. კოხრეიძე), შვეცოვი, არსენიძე (კ. რუხაძე), პაიჭაძე.

ფოთის სტადიონზე, ადგილობრივი „კოლხეთისა“ და კიროვაკანის „ლორის“ შეხვედრაში, საზეიმოდ აღიმართა გათამაშების ოფიციალური გახსნის ალამი, მოეწყო მეტად საინტერესო სპორტული ღონისძიებანი, მინდორზე გამოვიდნენ ქალაქის სპორტსმენები, ნორჩი მოვარჯიშეები, მოეწყო საინტერესო სანახაობანი. ამის შესახებ შეგვატყობინა ჩვენმა ფოთელმა კორესპონდენტმა **ამირან ლომაიამ**. საზეიმო გახსნის შემდეგ ადგილობრივმა გუნდმა დიდი ტერიტორიული უპირატესობით ჩაატარა მატჩი სტუმრებთან, ფოთელებს წარმატების მიღწევის რამდენიმე საუკეთესო შესაძლებლობა ჰქონდათ, მაგრამ მათგან შედეგიანად გამოიყენეს მხოლოდ ერთი: გადამწყვეტი ბურთი „ლორის“ კარში 53-ე წუთზე გაიტანა „კოლხეთის“ მცველმა ელოევმა.

სხვა მატჩები: „დინამო“ (სოხუმი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 1:1, „ავტომობილისტი“ (მინგეჩაური) — „ყარაბახი“ (სტეფანაკერტი) 1:0, „გოიაზანი“ (ყაზახი) — „ქიაფაზი“ (კიროვაბადი) 1:1, „სპარტაკი“ (ოქტემბერიანი) — „ვოსხოდი“ (სუმგაითი) 0:0, „ოლიმპია“ (ლენინაკანი) — „კოლხოზჩი“ (აშხაბადი) 2:1.

ტყიბულში უნდა შემდგარიყო მატჩი ადგილობრივ „მეშახტესა“ და გორის „დილას“ შორის. ამ დღეს ტყიბულში დიდთოვლობა იყო, რის გამოც თამაში არ შედგა. „მეშახტე“ და „დილა“ ერთმანეთს შეხვდებიან 10 მაისს.

**II ლიგა, IX ზონა**

### გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 25 აპრილისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლოკომოტივი“ | 3 | 3 | 0 | 0 | 4-0 | 6 |
| „ვოსხოდი“ | 3 | 2 | 1 | 0 | 4-1 | 5 |
| „ქიაფაზი“ | 3 | 2 | 1 | 0 | 5-3 | 5 |
| „ყარაბახი“ | 3 | 2 | 0 | 1 | 8-2 | 4 |
| „კოლხეთი“ | 3 | 1 | 2 | 0 | 4-3 | 4 |
| „კოლხოზჩი“ | 3 | 1 | 1 | 1 | 5-3 | 3 |
| „დილა“ | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 3 |
| „შევარდ.“-სპი | 3 | 1 | 1 | 1 | 5-5 | 3 |
| „მეტალურგი“ | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 3 |
| „ავტომობილ.“ | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 3 |
| „ლორი“ | 3 | 1 | 0 | 2 | 1-2 | 2 |
| „ოლიმპია“ | 3 | 1 | 0 | 2 | 3-5 | 2 |
| „დინამო“ | 3 | 0 | 1 | 2 | 2-6 | 1 |
| „გოიაზანი“ | 3 | 0 | 1 | 2 | 1-6 | 1 |
| „სპარტაკი“ | 3 | 0 | 1 | 2 | 2-8 | 1 |
| „მეშახტე“ | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |

**საქართველოს პირველობა**

რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის II ჯგუფის I ქვეჯგუფში საგარეჯოს „გარეჯი“ სათამაშოდ არ ჩავიდა ახმეტაში, რისთვისაც მას წაგება ჩაეთვალა.

## მაროკოელები — სამტრედიაში

**სამტრედიის** „ლოკომოტივის“ სტადიონზე 20 აპრილს შედგა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში. ადგილობრივმა „ლოკომოტივმა“ მიიღო მაროკოს პროფკავშირული ნაკრები.

საინტერესო თამაში მოიგეს სამტრედიელმა ფეხბურთელებმა, ბურთები გაიტანეს გ. პაიჭაძემ და გ. მჭედლიშვილმა.

**იორამ ნიკოლეიშვილი**
**(ტელეფონით, ჩვენი კორ.).**

# დიდი რეგბი თბილისში

დასასრული

ვულუნ, მაგრამ მატჩს საბჭოთა გუნდი თუ მოიგებს, მაშინ პრიზიორთა შორის ურთიერთ შეხვედრებში უკეთესი ბალანსის წყალობით წინ იტალიელები აღმოჩნდებიან.

დღემდე რუმინეთისა და საბჭოთა კავშირის პირველი ნაკრებები ერთმანეთს 11-ჯერ შეხვდნენ. ჩვენმა გუნდმა 2-ჯერ გაიმარჯვა, 9-ჯერ დამარცხდა. ამ ცხრილში ფირა-ს პირველობის მატჩები საგანგებოდაა გამოყოფილი.

**სსრ კავშირი — რუმინეთი**

| თარიღი | შეხვედრის ადგილი | ანგარიში |
|---|---|---|
| 19.09.1976 | ბურგასი (ბულგ.) | 8:14 |
| 5.08.1978 | ხარკოვი | 4:16 |
| 6.05.1979 | ხარკოვი | 9:15 (ფირა) |
| 11.05.1980 | ბუქარესტი | 6:28 (ფირა) |
| 17.05.1981 | მოსკოვი | 10:18 (ფირა) |
| 9.05.1982 | ბუქარესტი | 8:18 (ფირა) |
| 15.05.1983 | კიევი | 10:15 (ფირა) |
| 20.11.1983 | ბუქარესტი | 8:19 (ფირა) |
| 31.05.1985 | კიევი | 14:6 (ფირა) |
| 29.08.1985 | მოსკოვი | 23:18 |
| 20.10.1985 | ბუქარესტი | 12:16 (ფირა) |

ორიოდე სიტყვა ჩვენი მეტოქის შესახებ. რეგბი რუმინეთში 1914 წელს შემოიტანა საფრანგეთის უნივერსიტეტებში განსწავლულმა ახალგაზრდობამ. 1924 წელს პარიზში ჩატარებულ VIII ოლიმპიურ თამაშებზე რუმინელმა რეგბისტებმა ამ ქვეყნის სპორტის ისტორიაში პირველად მოიპოვეს ბრინჯაოს მედლები (მაშინ ამ ტურნირში მხოლოდ სამი გუნდი გამოდიოდა). 1934 წელს რუმინელები კონტინენტური ევროპის სხვა ხუთი ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად აარსებენ ფირა-ს; 1959 წელს აღწევენ პირველ დიდ წარმატებას, ბუქარესტში ამარცხებენ თავიანთ „მასწავლებლებს" — ფრანგებს (18:15). შემდეგ ხუთჯერ იმარჯვებენ ფირა-ს პირველობებში (1968-69, 1974-75, 1976-77, 1980-81, 1982-83 წლების სეზონში) და ხშირად საკმაო წარმატებით ეთამაშებიან ბრიტანეთის ქვეყნების, ავსტრალიის, ახალი ზელანდიის, არგენტინის, წყნარი ოკეანის აუზის კუნძულოვანი სახელმწიფოების გუნდებს.

1984 წლის შემოდგომიდან რუმინული რეგბი კრიზისს განიცდის. ნაკრები ზედიზედ დამარცხდა ფრანგებთან (3:18), ინგლისელებთან (15:22), საბჭოთა რეგბისტებთან (6:14), იტალიელებთან (3:19), შოტლანდიელებთან (18:33), ისევ ფრანგებთან (13:25), ტუნისელებთან (15:17), კვლავ ფრანგებთან (3:20). ეს დანავსული სერია 1986 წლის 1 ნოემბერს დუბლინში, ირლანდიელებთან სარეკორდო ანგარიშით (0:60) წაგებულმა მატჩმა „დააგვირგვინა". პირველი წარუმატებლობების შემდეგ გუნდი საგრძნობლად გაახალგაზრდავეს, მაგრამ, მსოფლიო თასის პირველი გათამაშების მოახლოებასთან დაკავშირებით, „შერისხული" ვეტერანები ალდეა, ალექსანდრუ, პარასკივი, მურარიუ, კოდოი, ბექეში, ვერზარუ კვლავ დააბრუნეს გუნდში, ხოლო მირჩა პარასკივი ჯორჯე დუმიტრუსთან ერთად ნაკრების მოთამაშე-მწვრთნელადაც კი დანიშნეს.

ახლა რუმინეთის ნაკრებში 45 რეგბისტია (3-3 კანდიდატი თითოეულ ადგილზე). სწორედ საბჭოთა გუნდთან შეხვედრის შემდეგ გახდება ცნობილი იმ 26 რეგბისტის ვინაობა, ვინც მსოფლიო თასისთვის ბრძოლაში მიიღებს მონაწილეობას.

რეგბის რუმინული გააზრება ფრანგებთან მუდმივი კონტაქტების გამო ფრანგულს წააგავს. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ რუმინელები ზედმეტ ყურადღებას უთმობენ მატჩის შედეგს და ამიტომ ძალისმიერად, კონტრშეტევებით თამაშობენ. მაგრამ დღეს, როცა მათ აკლიათ ინდივიდუალურად ძლიერი, თვითმყოფი ოსტატები, გამარჯვება საბჭოთა ნაკრებთან, ისიც სტუმრად, რუმინელებს ალბათ გაუჭირდებათ. მით უფრო, რომ ამჟამად ჩვენი ნაკრები სისწრაფით, ფიზიკური ძალით, თამაშის ორგანიზაციითა და ტექნიკით, არათუ ჩამოუვარდება, არამედ სჯობნის კიდეც რუმინელთა გუნდს. ასე რომ, დღეს თბილისელები მეტად საინტერესო მატჩს იხილავენ.



**რაც** შეეხება საბჭოთა კავშირის ნაკრებს, იგი რა ხანია თბილისში იმყოფება და რუმინელებთან შეხვედრისათვის ემზადება წლევანდელი საკავშირო ჩემპიონატის ლიდერის — კიევის „ავიატორის" მწვრთნელის იგორ ბობკოვის ხელმძღვანელობით, რომელიც ქვეყნის პირველ გუნდს 1981 წლიდან უდგას სათავეში. სწორედ მისი ხელმძღვანელობით მიაღწიეს ჩვენმა რეგბისტებმა წარმატებას ფირა-ს ჩემპიონატში (მეორე ადგილი), დაამარცხეს ფრანგები, რუმინელები, იტალიელები.

— ათიოდე დღეა, რაც „ლოკომოტივის" დიღმის ბაზაზე ვვარჯიშობთ, — თქვა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა, — რამდენადაც ვიცი, იგი ქვეყნის მასშტაბით პირველი სპეციალიზებული რეგბის ბაზაა. აქ ჩინებული პირობებია წვრთნის, კვებისა და დასვენებისათვის. სხვათა შორის, პირობების გაუმჯობესებამ თქვენს „ლოკომოტივს" სახე უცვალა. დღეს იგი უძლიერესთა ექვსეულში მოხვედრის რეალურ კანდიდატად მიმაჩნია. რაც შეეხება ქვეყნის მთავარ გუნდს, იგი მომავალშიც ისარგებლებს თქვენი ბაზით და საგანგებოდ რეგბის თამაშისათვის განკუთვნილი „ლოკომოტივის" სტადიონით. შეხვედრებს ფრანგებთან, იტალიელებთან, არგენტინელებთან ალბათ თქვენთან გავმართავთ.

● **არგენტინელებთან?**

— დიახ, არგენტინელებთან. რეგბის საერთაშორისო საბჭოს ქედმაღლობით განაწყენებული არგენტინელები ზაფხულში ფირა-ში აპირებენ შემოსვლას და, ცხადია, ჩემპიონატშიც ჩაებმებიან, რითაც ტურნირის პრესტიჟი ერთიორად გაიზრდება, რადგან არგენტინელები დღესდღეობით ერთ-ერთი საუკეთესონი არიან მსოფლიოში. ამდენად ბრძოლა მოგვიწევს მოპოვებული პოზიციების შენარჩუნებისათვის.

● **რუმინელებს დავუბრუნდეთ, რა იცით მეტოქის შესახებ?**

— თითქმის არაფერი. არ ვიცით, როგორი შემადგენლობით ჩამოვა გუნდი თბილისში. დანამდვილებით არც ის ვიცით, ვინ წვრთნის ამჯერად რუმინეთის ნაკრებს. რაც შეეხება მათ სტილს, სტუმრები ახალს, ალბათ, ვერაფერს შემოგვთავაზებენ. ორ კომპონენტში — ფეხით თამაშსა და აუტიდან მოწოდებული ბურთის დაუფლებაში მეტოქე გვჯობნის. ამიტომაც ვანდეთ მცველის ადგილი ქუთაისელ ნუგზარ ძაგნიძეს, რომელიც ძალიან კარგად თამაშობს ფეხით. იმედია, მეტოქის ავტორიტეტი ნუგზარს არ შეაკრთობს, სხვა მხრივ ჩვენი ნაკრები მეტოქეზე უკეთესად გამოიყურება. ამიტომ გადაწყვეტილი გვაქვს გამარჯვებისათვის ვიბრძოლოთ. გვინდა ყველას დავუმტკიცოთ, რომ მსოფლიო თასის პირველი გათამაშების მონაწილე ფირა-ს სამივე წევრს, —საფრანგეთის, იტალიის, რუმინეთის გუნდებს არაფრით ჩამოუვარდებით.

● **მსოფლიო თასისთვის მებრძოლთა შორის ჩვენს ნაკრებს ვერ ვხედავთ. რატომ? სუსტები ვართ?**

— არა, რა თქმა უნდა. ჩვენმა ფედერაციამ ახლახან მიიღო მიწვევები ავსტრალიიდან, იაპონიიდან, ინგლისიდან. ამ ქვეყნების რეგბის კავშირები ტურნეებზე გვეპატიჟებიან. ივნისში მეორედ გავემგზავრებით ზიმბაბვეში. მსოფლიო თასისთვის ბრძოლას კი სპორტსახკომის ზოგიერთი უპასუხისმგებლო მუშაკის უგერგილო მუშაობის გამო გამოვეთიშეთ. არადა, ამ შეჯიბრებაში მონაწილეობა საბჭოთა რეგბის დონეს საგრძნობლად აამაღლებდა.

• • •

ოთხშაბათს ნაკრებმა საწვრთნელი მატჩი გამართა თბილისის „ლოკომოტივთან" და გაიმარჯვა — 34:4.

# მსოფლიო ჩემპიონატი ჰოკეიში

# საგანგებო შემთხვევა

**ჰოკეისტთა** ვენის მსოფლიო ჩემპიონატზე საგანგებო შემთხვევა მოხდა: გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრების ზოგი შედეგი გაუქმდა, უფრო სწორად გერმანელ ჰოკეისტებს ადრე ჩატარებულ შეხვედრებში წაგება ჩაეთვალათ, თანაც ერთნაირი ანგარიშით — 0:5.

ეს სკანდალური სიტუაცია შეიქმნა ფინელთა პროტესტის შემდეგ, რომლებმაც აღმოაჩინეს, რომ გფრ-ის ნაკრების ერთ-ერთ წევრს, გვარად სიკორას 10 წლის წინათ პოლონეთის ახალგაზრდული ნაკრების ღირსება დაუცვია მსოფლიო ჩემპიონატში.

ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციის წესების კოდექსი ასეთ დუბლირებას კატეგორიულად კრძალავს. სააპელაციო ჟიურიმ იმსჯელა ამ კონკრეტულ შემთხვევაზე და, როგორც ხედავთ, საკმაოდ მკაცრი გადაწყვეტილება მიიღო. ასე რომ, გერმანელ ჰოკეისტთა ორი კალენდარული შეხვედრა ამ ჩემპიონატში ახლა ასეა დაფიქსირებული: ფინეთთან — 0:5, კანადასთან — 0:5 (შეგახსენებთ, რომ ფინეთისა და კანადის გუნდებს გერმანელებმა მოუგეს შესაბამისად 3:1 და 5:3).

ამასთან დაკავშირებით საგრძნობლად შეიცვალა გათამაშების ცხრილი.

ახლა კი მეხუთე ტურის შეხვედრებზე: სსრ კავშირის ნაკრებმა დაამარცხა ფინეთის გუნდი — 4:0, შვეციამ — კანადა — 4:3, ჩეხოსლოვაკიამ — შვეიცარია — 5:2, აშშ-მ — გფრ — 6:4.

# თავი ისახელეს

**ერევანში** ჩატარდა მოზარდთა საკავშირო ტურნირი კლასიკურ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში, რომელიც 26 ბაქოელი კომისრის ხსოვნას მიეძღვნა, ბაქოს, როსტოვის, დონეცკის, მაიკოპის, ერევნის გუნდებთან ერთად ქუთაისის საავტომობილო ქარხნის სპორტკლუბ „კოლხეთის" აღსაზრდელებმა იასპარეზეს. ქუთაისელმა ყმაწვილებმა 2 პირველი და 3 საპრიზო ადგილი მოიპოვეს.

71 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში ო. ფირცხალაშვილმა (მე-2 საშუალო სკოლა) ყველა ორთაბრძოლაში ვადამდე გაიმარჯვა. თ. მურღულიამ (24-ე საშუალო სკოლა) 81 კგ. წონაში აჯობა ყველას.

საპრიზო ადგილებზე გავიდნენ: ი. სირბილაძე (32 კგ), კ. კუხალაშვილი (38) და დ. გუმბერიძე (56).

მოზარდ ფალავანთა მწვრთნელები არიან მ. დოხტურაშვილი და ნ. ქოიავა.

„ლელოს" საკ. კორ.

# 25 და 26 აპრილს

**25 აპრილს,** 16 საათზე, თბილისის ჭადრაკის სასახლეში შედგება ჭადრაკის კულტურის რესპუბლიკური სახალხო უნივერსიტეტის ღია მეცადინეობა.

ლექციებს წაიკითხავენ: საერთაშორისო დიდოსტატი ნანა ალექსანდრია (თემაზე: „ქალთა პირველი საერთაშორისო ტურნირი აზიაში") და საერთაშორისო ოსტატი ელიზბარ უბილავა („ა. კარპოვ-ა. სოკოლოვის სუპერფინალური მატჩი" — მწვრთნელის შთაბეჭდილებები). ლექციების შემდეგ ეს მოჭადრაკეები უნივერსიტეტის მსმენელთათვის გამართავენ ერთდროული თამაშის სეანსებს.

26 აპრილს, 11 საათზე, სემინარულ მეცადინეობებს ჩაატარებენ დოცენტი მერაბ თხელიძე, ოსტატი თამაზ კიკიანი, რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელები შოთა ინწკირველი, ოთარ ალხანიშვილი, საერთაშორისო არბიტრი ევგენი მელიქსეთ-ბეგი.



# გენერალური რეპეტიცია

**რესპუბლიკის** დოსააფის სპორტულ-ტექნიკური კლუბის ბაზაზე ჩატარდა საკავშირო შეჯიბრება წრიულ ავტორბოლებში საბჭოთა კავშირის გმირის, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ ვ. ნანეიშვილის პრიზზე. ასპარეზობის მონაწილე სპორტსმენებისათვის ეს იყო თავისებური გენერალური რეპეტიცია საკავშირო პირველობის წინ, რომლის პირველი ეტაპიც აქვე გაიმართება 26 აპრილს.

შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობდნენ ფორმულა „ვოსტოკის", ფორმულა III-ის, მე-7, მე-8 და მე-10 კლასის ავტომობილები, საკმაოდ დაძაბულად წარიმართა.

სტარტზე პირველნი გამოვიდნენ ფორმულების კლასის სარბოლო ავტომანქანები. წარმატებით იასპარეზეს რესპუბლიკის დოსააფის სპორტულ-ტექნიკური კლუბის წარმომადგენლებმა. მათს გარდა მონაწილეთა შორის იყვნენ ბათუმელი, ბაქოელი და ტაშკენტელი მრბოლელებიც. თავიდან დაწინაურდა სპორტის ოსტატობის კანდიდატი მიხეილ ჯავახიშვილი, რომელიც ფორმულა III-ის კლასის სარბოლო მანქანით ასპარეზობდა, მაგრამ საბოლოოდ იგი მესამე ადგილს დასჯერდა. პირველი ადგილი და საპატიო პრიზი მოიპოვა სპორტის ოსტატმა ალექსანდრე წერუაშვილმა, რომელმაც ტაქტიკურად სწორად წარმართა რბოლა და საკმაოდ დამაჯერებლად გაიმარჯვა. მეორე ადგილი კი ოსტატობის კანდიდატ დავით რამიშვილს ხვდა.

როგორც ყოველთვის, მეტად საინტერესო გამოდგა მეშვიდე და მერვე კლასის ავტომანქანების ასპარეზობა. მათაც საერთო სტარტი მიეცათ, მაგრამ 14-წრიან რბოლებს გამარჯვებული ცალ-ცალკე კლასების მიხედვით უნდა დაესახელებინა. მეშვიდე კლასის ავტომანქანით კარგად იასპარეზა სპორტის ოსტატობის კანდიდატმა თეიმურაზ აბრამოვმა, მერვე კლასში კი პირველი იყო ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენელი ოთარ მამრიკიშვილი. მათ გამარჯვებებს ავტოსპორტის მოყვარულები, შეიძლება ითქვას, შეჩვეული არიან, მაგრამ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თანდათან უმატებენ თავიანთ ოსტატობას იგორ ლოგინოვი და გენადი წოწორია, რობინზონ პატიაშვილი და ზურაბ ლუტიძე, რომლებმაც თავიანთ კლასებში შესაბამისად მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს.

ძალზე დაძაბული გამოდგა შეჯიბრება მეათე კლასის (გაზ-24-ვოლგა) ავტომობილებს შორის. აქ თითქმის ყოველ წრეზე იცვლებოდა ლიდერი. ბოლო ხუთ წრეზე დისტანციას სტარტზე გასული მანქანების მხოლოდ ნახევარი შემორჩა. თავიდან ლიდერობდა ერევნელი ჟირაირ ასატრიანი, რომელსაც კვალში მიჰყვებოდნენ ბრესტელი ვლადიმერ სოლოპოვი და თბილისელი ოთარ არჯევანიძე. შემდეგ მოვლენები ასე განვითარდა: მეხუთე წრეზე სოლოპოვმა მოსახვევში გაუსწრო ასატრიანს, მეექვსე წრეზე უკვე ასატრიანმა ჩამოიტოვა სოლოპოვი, მეშვიდე წრეზე კი სომეხი მრბოლის მანქანა უწესივრობის გამო გაჩერდა და სოლოპოვს პრაქტიკულად აღარ ჰყავდა სერიოზული მეტოქე. ფინიშის ხაზი პრიზიორთა სამეულმა ასეთი თანამიმდევრობით გადაკვეთა: ვლადიმერ სოლოპოვი, ოთარ არჯევანიძე, გაგიკ ავაქიმიანი (ერევნის სპორტულ-ტექნიკური ავტოკლუბი).

იმედია, რომ საკავშირო პირველობაზე ჩვენი რესპუბლიკის ნაკრების წარმომადგენლები შეძლებენ ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიონ ძლიერ მეტოქეებს.

გიორგი ქორქია.

# სიურპრიზები გრძელდება

**ჩოგბურთელთა** საერთაშორისო ტურნირზე, რომელიც მონტე-კარლოში ტარდება, ყოველ ახალ ტურს ახალი სიურპრიზი მოაქვს. პირველი მოულოდნელობა ერთ-ერთი მთავარი ფავორიტის ბორის ბეკერის (გფრ) დამარცხება იყო. მას ამერიკელმა ჯიმ არიასმა აჯობა — 6:3, 6:3.

შემდეგ გათამაშებას შვედი შტეფან ედბერგი და ფრანგი იანიკ ნოა გამოეთიშნენ. პირველს თანამემამულე ულფ სტენლუნდმა სძლია — 2:6, 6:1, 6:4, მეორეს — ავსტრიელმა ჰორსტ სკოფმა — 3:6, 7:5, 6:3.

მეორე წრეში ანდრეი ჩესნოკოვმა შვედი იონას სვენსონი (6:2, 6:0), მესამე წრეში კი გფრ-ის წარმომადგენელი რიკი ოსტერჰუნი (6:3, 6:4), დაამარცხა, რომელმაც მანამდე შეჯიბრებიდან საკმაოდ ძლიერი ჩოგბურთელი, ესპანელი ემილიო სანჩესი გამოთიშა — 6:4, 7:6.

# სპორტულ ბაზებზე

**ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. 25 აპრილი.** ოქროყანის სპორტული ბაზა. **ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „დურუჯი" (ყვარელი).** 14 ს; „ლოკომოტივის" ბაზა დიღომში. **ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) — „სპარტაკი" (ცხინვალი).** 14 ს. 30 წ; **26 აპრილი.** „დინამოს" საწვრთნელი ბაზა დიღომში. **„იმედი"-„დინამო"-2 (თბილისი) — „სქური" (წალენჯიხა).** 15 ს. 30 წ.

# ცისფერ ეკრანზე

**ცენტრალური ტელევიზია. 25 აპრილი.** დილის დაჭურვა — **8.00 (1);** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** რიტმული ტანვარჯიში — **9.40 (2);** სპორტული ტანვარჯიში: სსრ კავშირის ჩემპიონატი — **13.25 (2);** ცხენოსნობა: სსრ კავშირის თასი — **20.20 (2).**

**საქართველოს ტელევიზია. 25 აპრილი.** ევროპის ჩემპიონატი რეგბიში: სსრ კავშირი — რუმინეთი (ვიდეოჩანაწერი) — **22.40.**

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.